პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელი არმიელი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ყოველ დღიური ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ფასი 3 კაპ.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ, 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით— 1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფ. სი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე-4-ზე—40 კ.

118 (1013) | კვირა, 30 მაისი 1926 წ, | 118 (1113)

## სამხედრო საიდუმლოებას სასტიკი დაცვა უნდა.

სამხედრო საიდუმლოების დაცვა—ეს პირველი ძირითადი მოვალეობაა ყოველი წითელ მებრძოლის. ახალწვეული ცვალებადელი, რომელიც პირველად გავიდა შეკრებაზე,ვალდებულია ეს თავისი მოვალეობა კარგად შეიგნოს და მტკიცედ გაატაროს ცხოვრებაში. რა არის სამხედრო საიდუმლოება და რატომ უნდა დავიცვათ ის?

როგორც ვიცით მსოფლიო ბურჟუაზია სასტიკი მტერია ჩვენი მუშურ-გლეხური ქვეყნის. თუ დღეს ის აშკარად არ გვებრძვის—ეს იმიტომ, რომ საამისო ხელსაყრელი პირობები არ აქვს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის არ ემზადება ჩვენს წინაამდეგ საბრძოლველად. ასეთი აზრი შემცდარია. პირიქით კაპიტალისტური ქვეყნები გაფაციცებით თვალს ადევნებენ ჩვენს ცხოვრებას, ყოველმხრივ მოდარაჯებული არიან და სცდილობენ გაიგონ ჩვენი ძალები და შესაძლებლობანი. ხშირად წავიკითხავთ ხოლმე გაზეთში ამა თუ იმ ჯაშუშის გასამართლების შესახებ.

რას გვეუბნება ჩვენ ეს ფაქტი? მას, რომ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას სურს გაიგოს დაწვრილებით როგორია ჩვენი შეიარაღებული ძლიერება, თავდაცვის უნარი. უდავოა, რომ, როცა მტერმა იცის თავისი მოპირდაპირის ძალების რაოდენობა, ამ ძალების ბინადრობა, მათი სუსტი და ძლიერი მხარეები, მაშინ ის უფრო მოხერხებულად აწარმოებს ბრძოლას. თუ მტერს არავითარი ცნობა არ ექნება ჩვენს შეიარაღებაზე, მაშინ ის ადვილად ვერ გაბედავს თავდასხმას. აი რატომ არის საჭირო დავიცვათ სამხედრო საიდუმლოება. ესე იგი ყოველივე ცნობა, რომელიც შეეხება ჩვენს წითელ ჯარს—მის ორგანიზაციას, მის სამობილიზაციოთ მზად ყოფას, იარაღის რაოდენობას, კვებას, შეიარაღებას, ჩაცმულობას, სულიერ განწყობილებას, ჩვენი ქვეყნის ე. ი. მთელი საბჭოთა კავშირის მატერიალურ შესაძლებლობას, ჩვენი ქარხნების და აგრეთვე სამხედრო ქარხნების ნაყოფიერებას და სხვა ასეთებს—ყოველივე ეს არის სამხედრო საიდუმლოება. და თითეული ახალგაზრდა მებრძოლი, ახალწვეული ცვალებადელი მოვალე არის მტკიცედ დაიცვას ეს საიდუმლოება და მუდამ წინდახედული იყოს ამ შემთხვევაში. ხანდისხან უმნიშვნელო ცნობასაც კი შეუძლია სრული წარმოდგენა მისცეს ჩვენს მტერს ნაწილის საბრძოლო უნარის მდგომარეობის შესახებ. ამიტომ ყოველგვარ უმნიშვნელო საუბარსაც კი ყველა ასეთ საკითხებზე წითელარმიელი უნდა ერიდოს. მას მაგრად უნდა ეჭიროს კბილი ენაზე. მტკიცედ უნდა იცავდეს სამხედრო საიდუმლოებას და მით მტერს უნდა უბრმავებდეს თვალებს.

## დამარცხდენ, მაგრამ არა სამუდამოთ

საფრანგეთის იმპერიალიზმი კიდევ ერთხელ ზეიმობს თავის გამარჯვებას. გმირულმა უთანასწორო ბრძოლამ წელში გასტეხა რიფები, მათ ვერ უშველა ვერც მაროკოს მიუვალ მთებმა, ვერც თავგანწირვამ და იშვიათმა სიმამაცემ—საფრანგეთის ჯარების მრავალ რიცხოვნებამ და მაღალმა სამხედრო ტეხნიკამ თავისი გაიტანა. რიფები დამარცხდენ, მათმა ბელადმა აბდ-ელ-ქერიმმა იარაღი დაყარა და დანებდა მტერს.

ასე ტრაღიკულად დასრულდა რიფების თექვსმეტი წლის ბრძოლა თავისუფლებისათვის. საფრანგეთის კაპიტალმა ტანკების და მხრჩოლავ გაზების საშუალებით დაიმონა ეს მამაცი ხალხი და გაბატონდა მის ქვეყანაში.

რატომ ებრძოდენ რიფები საფრანგეთს? ან რა უნდოდა საფრანგეთის ჯარს მაროკოში? შეგვეკითხება ახალგაზრდა მებრძოლი.

რიფები იბრძოდენ დამოუკიდებლობისათვის.

საფრანგეთის კაპიტალის მიზანი იყო ხელთ ეგდო აფრიკის ჩრდილოეთი ნაწილი, რომელიც ხმელთა შუა ზღვის პირად ძევს. სწორედ ამ ჩრდილოეთ ნაწილში იმყოფება რიფების ქვეყანა, რომელიც აგრეთვე სხვა და სხვა მადნეულობით არის მდიდარი.

საფრანგეთის ბურჟუაზიას და მასთან ესპანეთისასაც სურთ გაბატონდენ ხმელთა შუა ზღვაზე, დაიჭირონ მისი ნაპირების ყველა სტრატეგიული პუნქტები და მით ხელთ იგდონ აგრეთვე მდიდარი აფრიკის ვაჭრობა.

ჩრდილოეთ აფრიკის დაპყრობაში დიდათ დაინტერესებული იყვნენ აგრეთვე ესპანეთი, ინგლისი, იტალია. 1912 წელში საფრანგეთმა და ესპანეთმა გაიყვეს მაროკო და დაიწყეს შიგ ბატონობა.

სამხრეთი ნაწილი საფრანგეთმა წაილო, ხოლო ესპანეთს ხვდა უფრო პატარა ჩრდილოეთი ნაწილი.

მაგრამ უცხოელ მოძალადეებს წინ აღუდგენ თავისუფლების მოყვარე რიფები. საფრანგეთისა და ესპანეთის მაროკოს საზღვარზე დაიწყო რიფთა ტომის აჯანყება. მათ ომი გამოუცხადეს ესპანელებს და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ 1922 წელში საშინელი დამარცხება აგემეს მათ. რიფების მცირე რიცხოვანმა ლაშქარმა—20.420 კაცმა თითქმის განადგურებამდე მიიყვანა ესპანელების 120.000 ჯარი. მაგრამ ეს გამარჯვება რიფებისათვის საბედისწერო გახდა. ესპანეთის დამარცხებამ საბაბი მისცა თავისი საზღვრების დაცვის ნიღაბის ქვეშ დაეწყო საფრანგეთს ბრძოლა რიფების დასამონავებლად. რამოდენიმე წელი ებრძოდა საფრანგეთი რიფებს, მაგრამ გმირი ხალხის დაპყრობა მას ძლიერ გაუჭირდა. რიფებმა ძვირად დაუჯინეს საფრანგეთს ეს ომი. საფრანგეთმა 200.000 მეტი ჯარი გადმოასხა მაროკოს ფრონტზე, მან იხმარა მთელი თავისი მაღალი სამხედრო ტეხნიკა და როგორც იქნა ძლივს დაამარცხა რიფები. მაგრამ არა სამუდამოთ. გაიმარჯვა უხეშმა ძალამ და არა სიმართლემ. რიფების დამარცხება ზედმეტი გაკვეთილია იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრულ ერებისათვის. ის ასწავლის მათ, რომ მხოლოდ გაერთიანებული ძალებით ევროპის პროლეტარიატთან ერთად ისინი შესძლებენ იმპერიალიზმის ბატონობის დამხობას და მისი კლანჭებისაგან განთავისუფლებას.

—ე.

## ინგლისის მთა-მადნის მუშები მოუწოდებენ—ხელი შეუშალონ ნახშირის შეტანას ინგლისში

### აჯანყდა პორტუგალიის ორი დივიზია მთავრობის წინაამდეგ

დღეს ტფილისში გაიხსნება ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

კახეთში წყალდიდობამ დააზარალა ვენახები. არის ადამიანის მსხვერპლიც.

### ნახშირის შეტანის შეწყვეტისთვის

ინგლისის მთა-მადნის მუშათა გაერთიანების აღმასკომი დაჟინებით მოითხოვს ამსტერდამისა და მთა-მადნის მუშათა ინტერნაციონალის პრეზიდიუმისაგან—მიიღონ ენერგიული ზომები ინგლისში ქვანახშირის შემოტანის შეწყვეტისთვის.

### 53 კომუნისტის საქმე

სუვალკაში გაირჩა 53 კომუნისტის საქმე, რომელთა წინაამდეგ ბრალდება აგებული იყო საიდუმლო პოლიციის აგენტების ჩვენებაზე.

სასამართლომ ერთს მიუსაჯა 5 წლის კატორღა, 4 კაცს—4 წლის კატორღა, დანარჩენებს—უფრო მოკლე ვადებით.

### როგორი განათლება შეაქვს საფრანგეთს მცირე ერებში

ამ დღეებში დამასკის ერთ მთავარ მოედანზე საფრანგეთის ხელისუფლებამ საჯაროდ ჩამოახრჩო 5 აჯანყებული.

### ჯარის აჯანყება პორტუგალიაში

ჰავასის სააგენტოს ცნობით ოპორტოში (პორტუგალიაში) აჯანყდა ორი დივიზია. აჯანყებულები გაემართენ ლისაბონისკენ. ლისაბონსა და ქვეყნის შიგა ნაწილს შორის კავშირი შეწყვეტილია.

აჯანყებულ ჯარების სარდალმა მიმართა პორტუგალიის მოსახლეობას მოწოდებით. მთავრობას იმედი აქვს აჯანყების ჩაქრობისა.

### ესეც განიარაღება.

გერმანიის სოციალ-დემოკრატების გაზეთი „ფორვერტსი“ აღნიშნავს, რომ განიარაღების კომისიამ განიხილა ცალკე საკითხები, ხოლო განიარაღების საკითხს, როგორც ასეთს, სავსებით აუხვია გვერდი.

რა რიგადაც არ ცდილობს გაზეთი გამოხატოს კომისიის მოწვევის ფაქტი, როგორც ნაბიჯი წინ განიარაღების საკითხის გადაჭრაში, ის მაინც იძულებულია აღნიშნოს, რომ კომისიამ ვერ გამოიჩინა სიმამაცე შესდგომოდა ევროპის სახელმწიფოების განიარაღების საკითხსო.

### პოლონეთის ფანდები

ლიტვის პრესა გულგრილად შეხვდა პოლონეთის წინადადებას ბალტიის განაპირა სახელმწიფოების კავშირის შექმნის შესახებ.

გაზეთების აზრით პოლონეთი ცდილობს წააქეზოს ბალტიის სახელმწიფოები საბჭოთა კავშირისა და გერმანიის წინაამდეგ.

## საქართველოში.

### უმაგალითო წყალდიდობა

ხშირი წვიმების გამო არაჩვეულებრივი წყალდიდობა დაიწყო კახეთში.

წყალდიდობამ დიდი ზიანი მიაყენა ვენახებს. წაღებულია ბევრი წისქვილი. სოფლები მოწყვეტილია ერთი მეორეს. არის ადამიანთა მსხვერპლი.

### რადიო-სტუდია.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილება აწყობს მუშათა სასახლეში რადიო-სტუდიას. თანხას აძლევს პროფსაბჭო.

რადიო-სტუდიასთან ტელეფონით გადაეცემა საკავშირო ოლქის რადიო-სადგურს სიტყვიერი მოხსენებები, კონცერტები და სხვა რადიო-ცნობები, რომელსაც ნავთლუღი გაავრცელებს მთელს ამიერ-კავკასიაში.

### ნათესების მდგომარეობა გამოკეთდა

წვიმიან ამინდებმა საგრძნობლად გამოაკეთეს ნათესების მდგომარეობა. ქუთაისის მაზრის ბევრ ადგილებში, სადაც გოლვის გამო შეჩერებული იყო მუშაობა მინდვრად, კვლავ განახლდა.

### სოფლის სასამართლოები

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა შეადგინა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს დებულება სოფლის სასამართლოების შესახებ.

კომისიაში შევიდენ: ამხ. ამხ. თოდრია (თავმჯდომარედ), მათიკაშვილი, ვარძიელი, ხარაბაძე, მელაძე და წივწივაძე. კომისიამ უნდა დაამთავროს მუშაობა იმ ანგარიშით, რათა გეგმა წარუდგინოს საქართველოს ცაკის მომავალ სესიას გასარჩევად.

### ჰიდროლოგიური მუშაობა ბათუმში

ამიერკავკასიის ნავთსადგურთა განყოფილება შეუდგა ბათუმში ჰიდროლოგიურ მუშაობას ღელვის, მდინარეების შესასწავლად და სხვა.

### სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ტფილისში

ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო გამოფენა, რომელიც გაიხსნება დღეს ტფილისში, გაგრძელდება 2 ნახ.—3 თვე.

გამოფენაზე მოვიდა და განაწილებულ იქნა ყველა ფირმების საგამოფენო ექსპონატები, გარდა ამერიკის ფირმების ერთი ნაწილისა.

# ამიერ კავკასიის სასოფლო სამეურნეო გამოფენა

დღეს 11 საათზე, ტფილისის იპოდრომის დიდ მოედანზე გაიხსნება 1-ლი სასოფლო სამეურნეო გამოფენა ამიერ კავკასიაში.

გამოფენაში მონაწილეობას ღებულობენ, როგორც ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა „სელმაშისა" და ამიერკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სახით, ისე უცხოეთის ფირმებიც: ფორდი, ფიატი, ლანცი, ატლას-დიზელი და მრავალი სხვა.

გამოფენაზე აჩვენებენ ახალი კონსტრუქციის ტრაქტორებს, ლოკომობილს, სახანძრო ავტომობილებს, ავტო-ფრეზს, სანიავებელ მანქანებს ღვინის დასამზადებელ იარაღებს, სარძეო ფერმებსა და მრავალი სხვა.

ექსპონატების უმრავლესობას აჩვენებენ მუშაობისა და მოძრაობის დროს. აჩვენებენ



„ატლას დიზელის" პავილიონი და ელსადგური.

სასოფლო სამეურნეო იარაღების და მანქანების მოხმარების და გამოყენების ყოველგვარ შემთხვევებსა და წესებს.

ამ მიზნით გამოფენაზე წარმოდგენილ ფირმებს გამოგზავნილი ყავთ ინჟენერები. ისინი უხელმძღვანელებენ მანქანების მუშაობას და მისცემენ მნახველებს საჭირო ახსნა განმარტებებს.

გამოფენის მთელი მოედანი დაფარულია ახალი პავილიონებით, რომლებშიდაც მოთავსებულია სხვა და სხვა ექსპონატები. „ატლას დიზელის" პავილიონში მოწყობილია პაწია ელსადგური, რომელიც აწვდის სინათლეს გამოფენის მთელ მოედანს. არის რესტორანი—პავილიონებშიც, სამუსიკო პავილიონი და პატარა ბაღი.



ამიერ კავკასიის ვაჭრობის პავილიონი

გამოფენის დასათვალიერებლად მოეწყობა მასიური ექსკურსიები მუშების, გლეხების და წითელ არმიელებისაგან.

რკინის გზა ექსკურსანტებს აძლევს შეღავათებს მოგზაურობის დროს.

ამიერ კავკასიის გლეხების მასიურ ექსკურსიებს საშვალება ექნებათ გაეცნონ სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადებაში ახალ მიღწევებს და გაიგონ, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მანქანიზაციას სასოფლო მეურნეობაში.

ამაშია მთელი დამსახურება და უდიდესი მნიშვნელობა ამიერ კავკასიის სასოფლო სამეურნეო გამოფენის. **გ. შ.**

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## პოლიტსკოლის კომუჯრედის ცხოვრებიდან

უკვე ერთი თვე გავიდა, რაც არჩეულ იქმნა ბიუროს ახალი შემადგენლობა და შეუდგა მოვალეობის ასრულებას. ამჟამად ვიმყოფებით ბანაკში. ჩამოსვლისთანავე კომუჯრედი შეუდგა სოფლებთან კავშირის დაჭერის საქმის მოგვარებას. გაყვანილი იქნენ აღრიცხვაზე საჭირო ამხანაგები.

24 მაისს მოხდა ადგილობრივ რაიკომის სხდომა, რომელსაც დაესწრო ჩვენი კომუჯრედის მდივანი და მათან შეთანხმებით მიმაგრებულ იქნენ ამხანაგები სხვა და სხვა სოფლებზე. გამომუშავებული იქნა გეგმა, თუ როგორ უნდა აწარმოონ მუშაობა სოფლათ მიმაგრებულ ამხანაგებმა.

აქაური სოფლები ყველანი ჩამორჩენილი არიან განათლების და განვითარების მხრივ, ამიტომ მიმაგრებულ ამხანაგებს მოუხდებათ მეტი ენერგიით აწარმოონ მუშაობა.

გლეხი რა გინდ შეუგნებელი იყოს, მისი შეკითხვა პირველათ, ყოველთვის ასეთი არის: „თუ როგორ გავაუმჯობესო ჩემი ცხოვრება, რომ შევსძლო ადვილათ ყოველივე უბედურების გადალახვა და სიბნელიდან თავის დაღწევაო". თითქმის ამ კითხვაზე უნდა იქნეს დაყრდნობილი მთელი ჩვენი მუშაობა და უნდა შეუწყოთ ხელი, რომ მათი გაჭირვებული მდგომარეობა ადვილათ გადავლახოთ და საშუალება მივსცეთ რათა მათაც დროზე გამოვიდენ, დაალწიონ თავი გაჭირვებას.

სოფლად ჩვენი მუშაობა ორი თვის განმავლობაში არც ისე ძნელი იქნება თუ მოვინდომებთ და როგორც კომუნისტები, ჩვენში გულ გრილობას ადგილი არ ექნება.

**ნ.ც ქ—ლი.**

# დავიცვათ მომჭირნეობის რეჟიმი

ცხენ. ლეგიონი·

წითელ არმიელები დიდი ყურადღებით ეკიდებიან მომჭირნეობის დაცვას.

იშვიათი მზრუნველობით უვლიან სახაზინო ქონებას. განსაკუთრებით კარგად ეკიდებიან ტანსაცმლის მოვლას. ყოველ დილაობით სწმენდენ, როგორც კი გაიხევა იმ წამსვე ღებულობენ ზომებს დასამრთელებლად. ეხლა მივიღეთ საზაფხულო ტანსაცმელი. გახდისას ასუფთავებენ და ისე ინახავენ.

დიდ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე იარაღისა და სხვა სახაზინო ქონების მოვლას.

ამნაირად მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია დიდი წარმატებით ტარდება ჩვენთან. წითელ არმიელებმა შეიგნეს ამ ლოზუნგის სიდიადე და ყოველმხრივად სცდილობენ მის ცხოვრებაში გატარებას.

**კ—ძე.**

# სამხედრო ცოდნათა წრეებისთვის

### მსროლელი ათეული მოგერიებაზე

მოგერიებას მიმართავენ როგორც პოზიციურ, ისე მანევრულ ბრძოლაში, რათა ა) მოგებულ იქნას დრო, ბ) შეჩერებულ იქნას მტერი, სანამ დაჰკრავდენ მას მეორე უბანზე, გ) დაკავებულ იქნას ხელსაყრელი ზღვარი ან წერტი, დ) დაცულ იქნას დასასვენებლად მოთავსებული ჯარები.

მოგერიება ხელს უწყობს ჯარებს გამოიყენონ ადგილმდებარეობა და თავისი ცეცხლის ძალა, მიაყენონ მოპირდაპირეს დიდი ზარალი და აიძულონ ის ხელი აიღოს შემოტევაზე. მაგრამ მოგერიებით არ შეგიძლია მტრის ძალების სრულიად განადგურება; ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ შეტევით.

### პოზიციის ამორჩევა მოგერიებისთვის

მსროლელი ათეული მოგერიების დროს იკავებს ისეთ წერტს ადგილმდებარეობაზე, საიდანაც შეიძლება თვალთვალი და სროლის კარგად წარმოება ყოველ მიმართულებით, რათა მტრის ვერც ერთ მეომარმა ვერ შესძლოს შეუმჩნევლად მოახლოება. ასეთ ზღვარს ირჩევს ხელმძღვანელი.

### შენიღბვა

მოგერიებისთვის მოთავსება დაფარული უნდა იყოს ან ბუნებრივი მცენარეებით (ბალახი, ბუჩქნარი) ან და ხელოვნური მასალებით: მოთიბულ ბალახით, ხის ტოტებით და სხვა. შენიღბვა კარგი იქნება, თუ რომ 600—300 ფეხის ნაბიჯზე შეუმჩნევი იქნება ჯარის ნაწილები თვით დურბინდი და ჰაეროპლანიდანაც კი.

### მანძილის გაზომვა.

თვითეული მსროლელი გაზომავს მანძილს წინ ამა თუ იმ საგნამდი 900—600—300—100 ფეხის ნაბიჯზე და იმახსოვრებს, რათა ამ საგნებთან მტრის მოახლოებისას მან იცოდეს მტერი რა მანძილზეა და შემუსრონ ის. მანძილის შეცდომით განსაზღვრა გამოიწვევს უშედეგო სროლას.

### თვალთვალი მტერზე.

ათეულის მეომრები, მორიგეობით და განუწყვეტლივ უნდა ადევნებდენ თვალყურს მტერს და შემოტევის ცდების შემთხვევაში მზად უნდა იყონ ყველა მეომრები საბრძოლველად. მთელი ბრძოლის განმავლობაში ეს თვალთვალი არ უნდა შესწყდეს.

### მტრის მოქმედება.

მეცადინეობის ხელმძღვანელი წინასწარ გზავნის მეომართა ჯგუფს მოპირდაპირის აღსანიშნავად და როცა ათეული მზად იქნება მოგერიებისათვის, შთანგებით აღნიშნავს ... ნობებს აღნიშნულ მოპირდაპირის შემოტევისა და იერიშის დროს.

ამრიგად, მეცადინეობის მიზანი მოგერიების დროს ნათელი იქნება.

### სასროლო ამოცანის გადაჭრა.

ათეულის თვითეულ მსროლელმა უნდა გადაჭრას ამოცანა ხელმძღვანელის შეკითხვაზე: როდის გახსნას ცეცხლი, ხშირად თუ ხანგაშოშვებით ისროლოს, რა მიზანი შემუსროს პირველად, სად დაუმიზნოს, ან და როცა ქარი ჰქრის მარჯვნიდან ან მარცხნიდან, რამდენ ხანს ეყოფა ვაზნების მარაგი და საიდან უნდა შეავსოს ის.

### მეცადინეობის გარჩევა.

როცა ბრძოლა დასრულდება, ე. ი. აღნიშნული მტერი დამარცხდება, ხელმძღვანელის განკარგულებით ათეული იერიშზე გადადის მოგერიების წინააღმდეგ და მოგერიების მნიშვნელობა და მსროლელთა მოვალეობა ნათელი იქნება. მეცადინეობა დამთავრდება და დაიწყება თვითეული მსროლელისა და ათეულის მოქმედების გარჩევა.

**ვ. ი.**

# „მაქსიმის" სამხაზიან ტყვიამფრქვევის გასინჯვა-და თვალიერება

ჩვენი მეთაურთა შემადგენლობა არა სათანადოთ არის მომზადებული ტყვიამფრქვევის საქმეში. ვერ ექცევა აგრეთვე სათანადო ყურადღება ტყვიამფრქვევის მოვლას. უცოდინარობა.

გასინჯვას მიზნად აქვს დასახული ტყ. მფრქვევის სამასალო ნაწილის წესიერი შენახვა, სწორი მოვლა და მისი საომრად მომზადება.

მარჯვენა ურდულო ფიქალი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნას გამოცვლილი, რადგან ის თვითეულ ტყ-მფრქვევზე განსაკუთრებულად არის მორგებული, რომლის გამოცვლა ადვილად გამოიწვევს ტყვიამფრქვევის კოლოფის უკანა ნაწილის ზევით ახეთქას. საწმენდი მოწყობილება უნდა იქნას რბილი, ჩვარი—სუფთა ზეთი—ნეიტრალური, ფერად მოიისფრო და წებოსებური: არ უნდა ერიოს შიგ სიმჟავე, რაიც იწვევს რეაქციას იარაღზე; არ უნდა ერიოს აგრეთვე ეგრედწოდებული ტუტა. რომ გავიგოთ ურევია თუ არა ზეთში ან ერთი ან—მეორე მათგანი, უნდა ავიღოთ ერთი ჭიქა ბენზინი, ჩავასხათ ზეთი, დაურიოთ და შიგ ჩავიდვათ ფოტოგრაფიული „ლოკმუსურის" —ქაღალდი.

ეს ქაღალდი თუ გაწითლდა მაშინ ზეთში იმყოფება სიმჟავე და თუ გალურჯდა,—იმ შემთხვევაში ზეთი ტუტიანა. ასეთი ზეთის ხმარება შეუძლებელია. აგრეთვე არა ვარგა ცხოველის ზეთი იარაღის საწმენდათ. წმენდა უნდა სწარმოებდეს ისე, რომ ზუმბა არ მოხვდეს ლულას, რადგან პრაქტიკიდან ვიცით, რომ ზუმბის ოცჯერ მოხვედრა იწვევს ტყვიის საგრძნობლად გაფანტვას.

რომ გავსინჯოთ კლიტე, უნდა დავათვალიეროთ, რომ კლიტის ნაწილები იყოს ერთი და იმავე თარილის №№, ვინაიდან გარეთა ნაწილები კლიტეს არ ეცვლება.

საომარ თასას გარდიგარდმო არ უნდა ჰქონდეს მაშინ, როდესაც კლიტეს ბერკეტების მილი მიყრდნობილია—ჩონჩხის ტატინობრივ სიბრტყეზე.

მოსხლეტა ზედა—საფრთხილოსი უნდა ხდებოდეს, როდესაც კლიტის ბერკეტების თითები ნახევრად არის ჩასული ამწევ ბერკეტების ამონაკვეთში.

მწესების კუდსა და კლიტის ბერკეტების მილს შორის უნდა რჩებოდეს პატარა სივრცე (ისინჯება თვალით). თუ არ არის, მოხდება მწესების კუდის მოტეხა. ვაზნის ქანაობა საომარ თასის ამოკვეთილებში დასაშვებია მხოლოდ სავაზნის სივრცეზე, და თუ მეტი იქმნა გულა მიებჯინება ლულის ქვედა პირს და არ შევა სავაზნეში. აგრეთვე უნდა გაისინჯოს თანდათანობითი წკაპუნი ზედა და ქვედა საფრთხილო ფეხის.

(შემდეგი იქნება)

**ი. უიფიანი.**

# სპორტი ბანაკში.

### რისთვისაა საჭირო სპორტი?

წითელი არმიის წესდება ლაპარაკობს, რომ მებრძოლმა მოთმინებით უნდა აიტანოს სამხედრო-სალაშქრო და საბრძოლო სამსახურის ყველა სიძნელეები.

საკითხი ისმება: ვინ უფრო აიტანს ამას?

ამის შესრულება შეუძლია მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის და ჯანსაღი სულის პატრონ ადამიანს. ამაში ჩვენ გვეხმარება სპორტი, ვინაიდან როგორც ცნობილია—ჯანსაღ სხეულში—ჯანსაღი სულია.

ბრძოლის ბედის გადაჭრაში დიდი მნიშვნელობა აქვს მებრძოლის ფიზიკურ ძალას.

თუ მებრძოლს აკლია გამძლეობა, ფიზიკური ძალა, სიმარდე, მაშინ მცირდება ჯარის სამანევრო უნარიც. ორგანიზმის ფიზიკური სისუსტე იწვევს დაავადებას, რის შედეგად ჯარი დნება და კარგავს მხნეობას.

ამიტომაც ყოველი შეგნებული წითელ არმიელი მოვალეა საბანაკო პერიოდში შევიდეს სპორტიულ წრეში, და განვითარდეს ფიზიკურად. ამით ყოველი მებრძოლი ხელს შეუწყობს წითელ არმიის საბრძოლო უნარის გამაგრებას და განმტკიცებას.

### რა მნიშვნელობა აქვთ სპორტის საზაფხულო სახეებს.

სპორტის ყველა საზაფხულო სახეები, პირველ ყოვლისა, ხელს უწყობენ ჯანსაღობის გამაგრებას და ამზადებენ მებრძოლის ტანს საბრძოლო ცხოვრებისათვის.

ამავე დროს, სპორტის თითეულ დარგს აქვს თავისი განსაკუთრებული თვისებები და იმუშავებს ამა თუ იმ სახის საბრძოლო თვისებას.

დავიწყოთ მსუბუქი ატლეტიკიდან.

რბენა სისწრაფეზე მცირე მანძილით (100 ან 400 მეტრამდე)—ანვითარებს უნარს რაც შეიძლება ჩქარა გადაირბინო მანძილი, რომელიც საჭიროა გადარბენისათვის და დარტყმისთვის იერიშის დროს.

რაც უფრო ჩქარა გადირბენს მებრძოლი მანძილს გადარბენებისა და იერიშის დროს, მით უფრო ჩქარა შეასრულებს ის საბრძოლო ამოცანას და მეტი დარწმუნება ექნება გამარჯვებაში.

რბენა 1000 მეტრზე იძლევა შესაძლებლობას შეტევაზე გადასვლის დროს უფრო ადვილად გაიაროს თოფის ნამდვილი ცეცხლის ზოლი.

რბენა დიდ მანძილზე—ანვითარებს გამძლეობას და სიმტკიცეს ლაშქრობისას.

ხტომა სიგრძეზე გარბენით—საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ ბრძოლის ადგილმდებარეობაში არის თხრილები, პატარა რუები და სხვა დაბრკოლებები.

ხტომა სიგრძეზე ადგილიდან საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია დაბრკოლებების გადალახვა, არა გაქვს რა სათანადოთ გასარბენი ადგილი.

ხტომა მაღლა გარბენით—საჭიროა ისეთი დაბრკოლებების დასაძლევად როგორიც არის: ღობე, მესერი თუ სხვა.

ხტომა ჰოკით-საჭიროა ნახტომის გასადიდებლად, როგორც სიგრძეზე ისე მაღლა, ფართე და მაღალი დაბრკოლებების გადალახვის დროს.

ტყორცნა—აჩვევს ხელის გრანატების გატყორცნას შორ მანძილზე.

მსუბუქი ატლეტიკის შემდეგ დიდი სარგებლობა მოაქვს სამხედრო საქმისათვის სხვა და სხვა სპორტიულ თამაშობას, ცურვას და საველე ვარჯიშობას.

თამაშობანი, განსაკუთრებით ფეხბურთი, ხელბურთი,—გარდა სწრაფი რბენისა ანვითარებს გამბედაობას, სიმარდეს, გამჭრიახობას, გამძლეობას.

ცურვა—ყოველმხრივ ანვითარებს ფიზიკურ ვარჯიშობას, რომელიც საჭიროა ყოველგვარი წყლის დაბრკოლებების დასაძლევად.

საველე ვარჯიშობა საჭიროა—მიეჩვიო თავისუფლად, ადვილად და სწრაფად გადალახო ყველა დაბრკოლებები, რომლებიც გადაგეღობება წინ.

აი სპორტის საზაფხულო სახეების მთავარი მნიშვნელობა.

**ე. ს.**

### ბანაკში ნუ დალევ უდუღარ წყალს.

უდუღარი წყალი ავნებს ადამიანის ჯანმრთელობას. ის შეიცავს უამრავ მეტად მცირე მიკრობებს, რომლებსაც ვერ ამჩნევს ადამიანის თვალი.

ადამიანი, რომელიც ზაფხულის სიცხეში დალევს უდუღარ წყალს შესაძლებელია ავად გახდეს მუცლის ტიფით ან ხოლერით.

იმპერიალისტური ომის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ როცა რუსი ჯარისკაცები სვამდენ უდუღარ წყალს, ისინი მყისვე ასობით ხდებოდენ ავად.

ასეთი შემთხვევები შესაძლებელია ბანაკშიაც, თუ არ დავიცავით სიფრთხილე ამ მხრივ.

ყოველმა წითელ არმიელმა მტკიცედ უნდა დაიმახსოვროს, რომ ლაშქრობისას და ბანაკში, უდუღარი წყალის დალევა არ შეიძლება.

**ვ. კ.**

# ახალწვეულ ცვალებადელების სწავლება

## ვეზრძვით წერაკითხვის უცოდინარეობას.

მე-4 ლეგ. მე-3 ათასეული.

ათასეულმა მიიღო თუ არა ცვალებადელები, იმ წამსვე მოხდა უცოდინართა აღრიცხვა, დაყოფილი იქნენ რამოდენიმე ჯგუფებათ და დაიწყო მათთან მეცადინეობა. ჯგუფები არის: ომხური, ქართული, თათრული და სხვები. ყველას დაურიგდათ სათანადო სამოსწავლო ნივთები, რვეულები, ფანქრები და წიგნები.

მასწავლებლები ენერგიულად შეუდგენ დავალებული საქმის შესრულებას. ყოველ დღე სისტემატიურად ამეცადინებენ ცვალებადელებს.

ერთი წუთი დრო არ იკარგება წითელარმიელებისაგან ტყვილა. მეცადინეობის დროს მეცადინეობენ, ხოლო შემდეგ უსხედან წიგნებს და კითხულობენ გულმოდგინეთ.

ა. იმერლიშვილი.

## 1-ლი შეერთებული კრება ცვალებადელებთან.

მე-4 ლეგიონი

25 მაისს შესდგა მეოთხე ლეგიონის 8 და 9 ასეულის ცვალებადელთა გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრენ ძირედ შემადგენლობის წითელ არმიელებიც.

გაკეთებული იქნა მოხსენება ტერალმშენებლობის შესახებ. განმარტებული იქნა თუ რისთვის არიან გამოწვეული წითელ არმიელები, რატომ არიან ასე მცირე ხნით, რა მნიშვნელობა აქვს ტერიტორიალურ სისტემას ქვეყნის ეკონომიურ და სხვა აღმშენებლობისათვის და მრავალი სხვა.

მოხსენება გადათარგმნილი იქნა სომხურ და სხვა ნაწილში მყოფ ეროვნულ უმცირესობათა ენებზე. ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მან. იყო მრავალი შეკითხვები.

მოხსენების შემდეგ ამორჩეული იქნა კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია, რომელშიდაც ცვალებადელებიც იქნენ შეყვანილი.

მელაძე.

## გავაჩაღეთ მუშაობა

მე-4 ლეგ. მე-3 ათასეული

ათასეულში გაცხოველდა მუშაობა ახალწვეულ ცვალებადელებს შორის. ყველაფერს კარგად ითვისებენ. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენენ სამხედრო საქმეში.

ლენინის კუთხეში ყოველ საღამოობით ტარდება საუბრები და ხმა-მაღალი კითხვა. ცვალებადები ყოველთვის ბლომად ესწრებიან და უსმენენ ყველაფერს ყურადღებით.

შედგენილი იქნა წერა-კითხვის უცოდინარ წითელ არმიელთა ჯგუფები, დაენიშნათ მასწავლებლები და დაიწყეს კიდევაც მუშაობა.

მოკლე ხანში უკვე გვეყოლებიან სათანადოთ მომზადებული ცვალებადელები.

დ. ოქროპირიძე.

## ფიზკულტურაშიც მეცადინეობენ

მე-2 არტლეგიონი.

როგორც კი მოვიდენ ცვალებადელები ლეგიონში, რამოდენიმე დღის შემდეგ დააწყებიეს ვარჯიშობა ფიზკულტურაში. ვარჯიშობენ სხვა და სხვა წესით. უმთავრესათ მსუბუქ ატლეტიკიდან. ცვალებადელთა უმრავლესობა კარგათ ითვისებენ ფიზკულტურას. დაინტერესებაც დიდია მათი ამ საქმეში.

თავისუფალ საათებში ბევრი თავისით ვარჯიშობს. შედგენენ ჯგუფებს და აწყობენ შეჯიბრს რბენასა და სხვაში.

პ. კახიძე.

## ჩვენთვისაც საჭიროა აგეგმის შესწავლა.

მე-2 ლეგ. მე-2 ათასეული.

ჩვენს ათასეულში წარმატებით მიმდინარეობს ყოველგვარი მეცადინეობა. მაგრამ თეორიულად გავდივართ ზოგიერთ მნიშვნელოვან დარგებს და პრაქტიკულად კი არა ჯეროვნით. ეს შეეხება განსაკუთრებით უმცროს მეთაურებს. პრაქტიკულად აგეგმა არ გვიწარმოებია. საჭიროა მშვიდობიანობის ხანა ნაყოფიერად გამოვიყენოთ ამისათვის და კარგად შევვასწავლონ აგეგმის წარმოება, რომელიც აუცილებელი გახდება ჩვენთვის ომიანობის შემთხვევაში ადგილმდებარეობის გაგნების დროს. უმცროს მეთაურებში დიდი სურვილია ამ მხრივ და იმედია აგვისრულებენ.

ხალისიანი.

# საბანაკო ცხოვრება დაიწყო

## 1-ლი ლეგიონი ბანაკში.

24 დილით ბანაკში გაისმა საყვირის ხმა... ყველა მზად იყვენ. უკვე გაიცა ბრძანება მეცადინეობის დაწყებისათვის. წითელ არმიელები ჯგუფ-ჯგუფად გამოვიდენ კარვებიდან და მოიყარეს თავი წყობილებაში.

„ხაზზე" გაისმა ხელმეორედ მეთაურების ძახილი. ნაწილი სიმღერით გაემართა ველში მეცადინეობისათვის. გამხიარულდა მძინარე მიდამო. ახლო-მახლო გორები გაივსო ლეგიონის ასეულებით. ვაკე ადგილებშიც მოჩანდენ აქა იქ ასეულები.

გამოვიდენ სხვა ლეგიონებიც. ყველა გაფაციცებით ეშურებიან დანიშნული ადგილებისაკენ.

გაიშალენ შარაში ასეულები. შეუდგენ სამხედრო საქმეში მეცადინეობას. ისინი გულმოდგინეთ ასრულებენ უფროსების განკარგულებასა და ამოცანებს.

ზოგი ატარებდა ტაქტიკურ მეცადინეობას, ზოგი წყობილების შესწავლასა და იარაღის გამოყენებას, ზოგიერთები ზვერავენ მტრის ბანაკს, აგებენ სანგრებს და სხვა.

არ არის დარჩენილი არც ერთი წითელი მოლაშქრე, რომ მეცადინეობაში არ იყოს ჩაბმული. ამიდიც ხელს უწყობდა ნაწილებს.

ასე გაცხოველებულად მეცადინეობდენ სანამ არ გაისმა მეორედ საყვირის ხმა. ის სადილისათვის იხმობდა მუშაობით მოქანცულ მხედრებს.

საღამოზე კი თითეული კარვის წინ გაისმის მხიარული სიმღერა და ოხუნჯობა. დღისით მუშაობით მოქანცული წითელ არმიელები ისვენებენ მხიარულებაში. ზოგიერთ კარვებში კი მიდის საუბარი ჩატარებულ სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობის შესახებ. ასე ატარებენ ბანაკში ცხოვრებას ჩვენი წითელ არმიელები და ასე ეწევიან სამხედრო საქმეში მეცადინეობას.

ს. იმნაიშვილი.

## საჭიროა ანტირელიგიური წრე.

1-ლი ლეგიონი.

ანტირელიგიური წრე ასეულებში თუ არა ლეგიონის მაშტაბით მაინც აუცილებელია. წრის დაარსება საჭიროა განსაკუთრებით ეხლა, რომ შესაფერი ცნობები მივაწოდოთ 1902 წელში დაბადებულ წითელარმიელებს, რომლებიც რამოდენიმე თვის შემდეგ უნდა წავიდენ გრძელვადიან შვებულებაში და გააჩაღონ მუშაობა სოფლად.

სოფლად კი ჯერაც მაგრად აქვს გადგმული ფეხი სარწმუნოებას და ათასგვარ ცრუმორწმუნოებებს. წითელარმიელი უნდა მოვამზადოთ ისე, რომ გლეხებთან საუბარში შესძლოს დაამტკიცოს რელიგიის უსაფუძვლობა.

ანტირელიგიური წრე დიდ დახმარებას გაგვიწევს ამ საქმეში და ამიტომ საჭიროა იზრუნონ მისი დაარსების შესახებ ჩვენმა ხელმძღვანელებმა.

თ. ნიკოლეიშვილი.

## კარგად მოვეწყვეთ.

მე-2 ლეგ. ბატარეია.

ჩვენი ბატარეიაც გაემგზავრა საბანაკოთ, იქ სადაც იყრიან თავს საზაფხულოთ საარტილერიო ნაწილები. ჩასვლისთანავე გადმოგვცა 1-ლ არტლეგიონმა საკარვე ტილოები და შეუდექით მუშაობას მათი გადაჭიმვისათვის. მიუხედავად ცუდი ამინდებისა მუშაობა მაინც ნაყოფიერად მიმდინარეობდა. წითელარმიელები ენერგიულად ეკიდებოდენ მუშაობას. კარვები საუკეთესოთ მოვაწყვეთ. აქვე არიან სხვა საარტილერიო ნაწილებიც. მალე შეუდგებით ერთად სამხედრო საქმეში მეცადინეობას.

სხვა მხრივაც კარგად მოვეწყვეთ. გვაქვს სასადილო, ლენინის კარავი და ბიბლიოთეკა.

სამხედრო საქმეებთან ერთად აქაც სწარმოებს საგანმანათლებლო მუშაობა.

შ. რევიშვილი.

## სამხკორთა აღმშენებლობა ჩვენთან

მე-3 ლეგიონი

ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სამხკორთა აღმშენებლობას. არსებობდა სამხკორთა სემინარი, რომელიც დამთავრებული იქნა ორი თვის წინად და გამოუშვა მომზადებული კედლკორები და სამხკორები, რომლებიც თანამშრომლობენ როგორც „წითელ არმიელში", ისე კედლის გაზეთებში.

26 მაისს მოხდა სამხკორთა გაერთიანებული თათბირი, რომელსაც დაესწრო ყველა ნაწილების სამხკორებთან ერთად პოლიტგანყოფილების წარმომადგენელი ამხ. გეგია.

დღის წესრიგში იდგა, სამხკორთა მუშაობა საბანაკო პერიოდში, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. გეგიამ მან ვრცლად გააშუქა თუ რა ამოცანები აქვს სამხკორებს ბანაკად ყოფნის დროს, როგორი ყურადღება უნდა მიექცეს მუშკორებთან და გლეხკორებთან ცოცხალი კავშირის დაჭერის საქმეს, კედლის გაზეთების გაუმჯობესებას და მომჭირნეობის რეჟიმის ცხოვრებაში გატარებას.

დასასრულს შეტანილი იქნა დადგენილებაში მრავალ დეფექტებზე მითითებანი.

კრებამ ერთხმათ დაადგინა ჩავატაროთ კამპანია გაზეთ „წითელ არმიელის" გასავრცელებლად.

ბ. იოსელიანი

## მუდრო სოფელი

ეს იყო ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ.

თრიალეთის მთებში ხეტიალის დროს უნებურად წავაწყდი ერთ პატარა სოფელს.

უღაბურ ტყეში იყო ჩამალული. ასწლოვანი მუხა და ნაძვები მტკიცე დამცველად უდგნენ სოფელს, რათა არავის დაერღვია მისი მყუდროება.

უცხო კაცი ძალიან იშვიათად მოხვდებოდა ამ სოფელში.

— ჩვენი სოფელი—მყუდრო სოფელია.

— ხანდახან შემოდგომით თუ ამოვა ჩაფარი ან სტრაჟნიკი ფულის და სასალდათოების მოსაგროვებლათ, თორემ სხვა არავინ მოდის აქ—ამბობდნენ მცხოვრებნი მყუდრო სოფლისა.

რამოდენიმე დღე დავყავი მყუდრო სოფელში და მართლაც არავინ გამოჩნდა იქ. დილით ადრიანათ აიშლებოდნენ გლეხები, მოსწველიდნენ საქონელს და გალალავდნენ მთოვარზე პატარა ბავშვების ფარა. თვითონ კი შეერეოდნენ ტყეს და მინდვრებს და აგროვებდნენ საზამთროდ საჭირო პირნახულს.

მთელი ზაფხულში ფუსფუსში იყვნენ, არავინ აწუხებდა.

შემოდგომით რამოდენიმე დღით ავიდოდნენ მეფის მოხელენი, ააწიოკებდნენ სოფელს და ნადავლით და სასალდათე ახალგაზრდობით ბრუნდებოდნენ უკან.

შუა შემოდგომა, რომ მიიწურებოდა, სოფელი გადიპენტებოდა თეთრი თოვლით და მიეცემოდა ღრმა ძილს მაისის დაწყებამდე.

ბუხრიდან ამონავალი ბოლი და ძაღლის ყეფა, თუ ამცნობდა ვისმეს, რომ იქ ადამიანების საცხოვრებელი ბინაა, თორემ ისე ძნელი იყო ცნობა სოფლის.

— —

დაიწყო იმპერიალისტური ომი.

ზარბაზნების გრიალმა მყუდრო სოფლამდისაც მიაღწია. ავიდნენ მეფის მოხელეები, ერთხელ კიდევ ააწიოკეს იქაურობა, მოუყარეს თავი საქონელს, ცხენებს, ახალგაზრდებს და მწარედ დაარბიეს მყუდრო სოფელი.

— ჩვენი ცოდვით ნუ გაუხარიათ მათ, ვინც ამ გასაჭირში ჩაგვაგდო.

— გაანახევრეს სოფელი, ნეტა ვიცოდეთ საით წაიყვანეს ჩვენი ბიჭები.

— ჩემს მეზობელს არც ხარი, არც კამეჩი, არც ცხენი არ შეარჩინეს, დადუპეს ოჯახი, ცეცხლზე წყალი დაუსხეს.

— ვის რას ვერჩოდით, მყუდროთ ვცხოვრობდით ჩვენთვის—გაისმოდა მყუდრო სოფელში.

მაგრამ, ვინ უგდებდა ყურს, ვის სტკიოდა გული მყუდრო სოფლისთვის?

— —

— ვაჟო, გაიხედე იქით, ვინ უნდა იყვნენ ნეტა? მგონი აქეთ მოდიან.

— აქეთ მოდიან.

მთელი სოფელი გზაზე გამოვიდა. ელოდნენ სტუმრებს.

ნეტა ვინ უნდა იყვნენ. მტერნი თუ მოყვარენი.

იქნებ კიდევ უნდათ ბიჭების წაყვანა. სტუმრები მოახლოვდნენ. ნაბატონარის კაცები იყვნენ.

მიესალმენ და ვულის ფანცქალით ელოდენ მათ სიტყვას. ითქვა სიტყვა თავზარდამცემი.

— დიდი ხანია თქვენ სარგებლობთ მიწით, ტყით და წყლით, რომელიც ეკუთვნის ბატონს; ღალა კი არ გადაგიხდიათ. ბრძანა: დაუყონებლივ შემოიტანოს სოფელმა კუთვნილი გადასახადი, თორემ ყველას აჰყრი და გადაასახლებ შორ ადგილებსო.

— რაც ჩემი თავი მახსოვს ღალა არავისთვის მიგვიცია.

— ჩვენ მამა-პაპას თავისუფლათ უცხოვრია, ჩვენ რაზე უნდა ვიხადოთ ხარკი.

— ერთი ჭირი არ გვეყოფოდა, რომ ეს უბედურებაც თავს არ დაგვდგომოდა.

მწარედ ჩაფიქრდა მყუდრო სოფელი. „ძალა აღმართსა ხნავს"—ბევრი იყოყმანეს, ბევრი იმსჯელეს, მაგრამ ვინ იყო მათი მშველელი.

აწიოკდა სოფელი, ბევრი ოჯახი დაიღუპა, ბევრი ოჯახი მთლიანად განადგურდა, ბევრ ოჯახში ჩაქრა კერა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ე. ხუციშვილი.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

ჩაის წყალი ტალახიანი გვეძლევა.

ბანაკში ყოფნის დროს მეტად ხშირად გვეძლევა მღვრიე წყალი. დავასხამთ თუ არა, აუარება ტალახი მოყვება და შეუძლებელი ხდება წყლით სარგებლობა. საჭიროა, რომ სამნეო ნაწილი მიიღებდეს ზომებს წყლის გასაწმენდათ, თორემ მღვრიე, ტალახიანი წყალი ავადმყოფობას გამოიწვევს ნაწილში.

წოწორია.

### ნოქარს ვერ ვხედავთ.

1-ლ ლეგიონში „ბოეცის" მომხმარებელ საზოგადოებას გახსნილი აქვს კოოპერატიული კიოსკი, რომელიც საჭიროებისამებრ უნდა აწვდიდეს ნაწილს სხვა და სხვა საგნებს. რამოდენიმე კვირაა, რაც ბანაკად ვართ გასული და თავის დროზე კიოსკი არ გაუღია ჯერ ნოქარს. უფრო ხშირად დაკეტილია და სხვა და სხვა ნივთების ყიდვა გვიხდება კერძო მოვაჭრეებთან. „ბოეცის" ნოქარი ამ დროს კი თავისუფლად დასეირნობს ქუჩებში.

კარგად ასრულებს საზოგადოების დავალებას. სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე? დროა მიექცეს ყურადღება მის საქციელს.

ჭურღულიძე.

# ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ

## ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲡ ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲕᲐ

25 მაისს, თელავში, გატაცებულ იქნა სახალხო თეატრის სალარო. ეს მეორე შემთხვევაა ხსენებულ თეატრის სალაროს გაძარცვისა.

## ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

მთელი ქუთაისის 4 წლედებში მეცადინეობა თავდება 9 ივნისს.

7 წლედებსა და 9 წლედებში—25 ივნისს, რის შემდეგ დაწყებული იქნება საზაფხულო გამოცდები.

## ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲗ.

თელავის მაზრის აღმასკომში მოდიან გლეხობა თხოვნით,—რათა მათ მიეცეთ საშუალება დაესწრონ ამიერ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენას.

ასეთი თხოვნა შემოდის მაზრის ყოველ კუთხიდან. შემოვიდა 200-დი განცხადება.

მაზრას დაუთმო ცენტრმა სულ 50 შეღავათიანი ადგილი.

### ᲔᲡᲔᲪ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲐ.

მე-4 ლეგიონის სასადილოში წითელარმიელები შედიან სადილობის დროს წყობილებით. ვინც ვერ მოასწრებს წყობილებაში ჩადგომას, მას აღარ უშვებენ შემდეგ. ლეგიონის სამნეო ასეულის წითელარმიელები თითქმის ვერა დროს ვერ ვასწრებთ წყობილებაში ჩადგომას, რადგან დატვირთული ვართ სხვა და სხვა საქმეებით. შემდეგ კი სასადილოში აღარ გვიშვებენ. ნუ თუ არავინ არ მიაქცევს ყურადღებას ამ ახირებულ წესს?

ცქიფა.

### ᲬᲐᲒᲕᲘᲧᲕᲐᲜᲔᲗ ᲐᲑᲐᲜᲝᲨᲘ.

ერთი თვე სრულდება, რაც 1-ლი ლეგიონის მესამე ათასეული არ ყოფილა აბანოში. წითელარმიელებს დიდი შრომა უხდებოდათ ბანაკის მოწყობისათვის და ჰუჰყიანდებოდენ. აბანოში წასვლის საშვალება კი არ გვქონდა. ეხლა, როდესაც არის ამის საშვალება, საჭიროა გაგვაგზავნონ.

სიმართლის მთქმელი.

### ᲐᲦᲐᲠ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ.

1-ლი ლეგიონის ბანაკში გასვლის შემდეგ ყაზარმაში დარჩა ერთი ათასეული. მიუხედავად ამისა ტელეფონის ცენტრალურ სადგურმა გადაგვიჭრა ხაზი და ამნაირად მოვსწყდით ყველა ნაწილებსა და დაწესებულებებს.

ყველგან ფეხით გვიხდება წასვლა უმნიშვნელო საქმის მოსაგვარებლადაც კი, რაც ძლიერ აფერხებს დარჩენილი ნაწილის მუშაობას. საჭიროა თავის დროზე იქნეს ზომები მიღებული, რათა აღადგინონ ხაზი და მოგვეცეს საშვალება დაუკავშირდეთ საჭირო დაწესებულებებს.

ნ. ლესისპირელი.

## ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲔᲑᲨᲘ

### „ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲒᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲒᲔᲑᲐ“.

ერთი-ერთი სამხედრო პირი მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა საფრანგეთის არმიის ცხოვრების შესახებ.

—პოლკებში სწარმოებს მუშაობა კლასიური თვითშეგნების დახშობისათვის. ამ მუშაობას ხელმძღვანელობენ ღვდლები და ბურჟუაზიული პრესა. ღვდლები აძლევენ გაკვეთილებს ჯარისკაცებს ზნეობაში და მორალში, ისინი ეუბნებიან: არის სამშობლო, რომლისთვისაც თავი უნდა დასდონ მისმა შვილებმა; უნდა არსებობდეს სამხედრო ძლიერება, სიამაყე და სხვა. საფრანგეთის დიდებისათვის თავის დადება, ბრძოლა უაღრეს ბედნიერებას უნდა წარმოადგენდეს ფრანგი ჯარისკაცებისათვის.

ამასთან ერთად ჯარისკაცებს აშინებენ „კომუნიზმის საშინელებით“.

ჯარისკაცის განვითარებასა და განათლებისათვის სრულიად არ ზრუნავენ. კაპიტალისტურ არმიაში ატარებენ არა პოლიტიკურად გაწვრთნისათვის მუშაობას, არამედ მათი კიდევ უფრო გონების დასახშობ მუშაობას.

იქ ჯარისკაცი არ უნდა ეკუთვნოდეს ისეთ ადამიანების რიცხვს, რომლებსაც შეუძლიათ საკუთრად აზროვნება და განსჯა. ჯარის კაცს არ უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად აზროვნება. იქაურ არმიაში ძლიერ გავრცელებულია:

„უნდა გაიგო, რომ აკრძალულია გაგება“.

მიუხედავად სასტიკი დევნისა საფრანგეთის კომპარტია და ახკომკავშირი ენერგიულ მუშაობას აწარმოებს ჯარში.

პარტიამ დაადგინა, რათა აიძულოს თითეული ახალგაზრდა კომუნისტი წავიდეს არმიის რიგებში. იქ ის უნდა გახდეს სამაგალითო ჯარისკაცი და კარგად შეისწავლოს თოფის ხმარება, რადგანაც დადგება დრო, რომ საჭირო შეიქნება პარტიისათვის მისი ცოდნა. ამავე დროს მან თანდათანობით, ფრთხილად, დაფიქრებულად უნდა აწარმოოს ჯარში აგიტაცია და მრავალ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის მუშაობა. მან უნდა აუხსნას ჯარისკაცებს ყოველდღიური პოლიტიკური მოვლენები, გაარკვიოს მასში ისინი და ამნაირად მოიპოვოს ჯარისკაცებში ავტორიტეტი და ნდობა.

შეიძლება ითქვას, რომ კომუნისტებმა იმდენად გაძლიერეს ჯარის რიგებში მუშაობა და იმდენად დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს, რომ საფრანგეთი ვერ შესძლებს დასძრას არმია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ის წააწყდება აქ უდიდეს წინააღმდეგობას ჯარისკაცებისაგან, რომელმაც ადვილი მოსალოდნელია კიდევაც იმსხვერპლოს საფრანგეთის ბურჟუაზიული წესწყობილება და გაიმარჯვოს ევროპის მეორე განაპირა კუთხეში კომუნისტურმა რევოლიუციამ.

## ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ

**დოვლაშვილს.** მოწმობა აიღეთ ნაწილიდან სამსახურის შესახებ, რა გეძლევათ და გაუგზავნეთ თქვენს ცოლს, რომ მან განცხადებასთან ერთად წარუდგინოს უზრუნველყოფის კომისარიატს დახმარების მიღების შესახებ როგორც შრომის უნარ მოკლებული (ორსულობის გამო), და მასთან საჭიროა ექიმის მოწმობაც. (წ. ა. შეღავათების კანონთა კოდექსი მუხ. 11. (ბრძ. № 1520—24 წ.)

**მეთაურს.** ვისაც საოჯახო ულუფის მიღების უფლება აქვს დაწვრილებით ნათქვამია ბრ. № 30—26 წ.

**მარსეგოვს.** განცხადება უნდა შეიტანოთ მაჩ-ში.

**ქამაროვს.** წარსულ დროის დახმარების მიღება უზრუნველყოფის კომისარიატიდან არ შეგიძლიათ.

**ლალ—ს.** ჯარში გაიწვევიან ისინი, რომელთაც 1 იანვრისთვის უსრულდებათ 21 წელი, მაგრამ შესაძლებელია მოხდეს 22 წლისაც, რადგან ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ თვეშია დაბადებული.

**ხაშმელს.** არ გაგანთავისუფლებენ.

**№-ს.** ფეხსაცმელს ნაწილში შეგიკეთებენ.

**არ—ძეს.** ისე მიიღებთ, როგორც სხვა წითელ არმიელები.

**გ—ძეს.** სწავლის ფულისაგან უნდა იქნეს განთავისუფლებული თქვენი ძმა (ბრ. № 1520—25 წ.)

**ჭაბნელს.** განთავისუფლებული არ იქნებით და არც გადაყვანილი ტერ ნაწილში (ბრ. №965 და 834—25 წ.)

**რ—ვას.** მოვალე ხართ იმსახუროთ ერთი წელი და განთავისუფლებული იქნებით მორიგ გაწვევის შემდეგ (კანონი სამხ. სავალდებულო სამს. მუხ. 192)

**ქვიტირელს.** ორი წელიწადი.

**არეშიძეს.** მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, თუ ჩააბარებთ საშუალო მეთაურზე გამოცდებს.

**ხუბულავას.** შრომის სასამართლოს წესით.

**კ—ძეს.** არ გეკუთვნით.

## ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲔᲑᲡ

**ეთერს** (4 ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია ერთობ უმნიშვნელოა, არ დაიბეჭდება.

**აბესაძეს** (4 ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია: „ლეგიონის ცხოვრების შესახებ“ არ დაიბეჭდება ასეთი იყო ჩვენს გაზეთში. მოიწერეთ სხვაზე.

**დედისეს** (ცალკე საკავშირო ასეული) წერილი არ დაიბეჭდება. მოიწერეთ სხვაზე.

**კასრაძეს** (1-ლი ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია გარნიზონის შესახებ არ დაიბეჭდება უმნიშვნელოა.

**მაძიებელს**—ძინძიბაძის საპასუხოთ თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ბურდილაძეს და იმერლიშვილს** თქვენი წერილები არ დაისტამბება. ამის შესახებ იყო ჩვენს გაზეთში.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2 ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კ. პ. კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1) სერგო არაქელოვს (წ/არმ. კ.კ. წევრი 1923 წ.)

2) ანდრო გიგაურს (წ/არმიელი კ.კ. წევრი 1924 წ.)

3) სერგო ბიწაძეს (წ/არმ. უპარტიო). თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო ზემო ჩამოთვლილ ამხანაგებზე მათი კ.პ კანდიდატად მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. ხელ-მოუწერელი წერილები არ მიიღება.

უჯრ. პ/მგ. მდივანი **ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ.**

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თანახმად ბეჭვდითი ორგანოების წინადადებისა „ჟურნალ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲖᲠᲘ“-ს გამოცემა შეწყვეტილია, ქაღალდის და სათანადო თანხების უქონლობის გამო.

გამოგზავნილი წერილები და ხელის მოწერის ფული ეგზავნებათ უკან კუთვნილისამებრ.

1-ᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲡᲠᲝᲚᲔᲚ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

## ᲗᲕᲘᲗᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

რემედასი, ავიაქიმი, მეცნიერების მოყვარულთა და სხვა თვითგანვითარების საზოგადოებებს საყურადღებო ადგილი უჭირავთ საბჭოთა საზოგადოებრიობაში. ამ ჟამად ასეთ საზოგადოებებში ითვლება 10 მილიონამდე წევრი. საზოგადოებების მიერ კაპეიკობით შეგროვილ თანხებმა დიდი მატერიალური დახმარება გაუწია სოციალისტური მშენებლობის საქმეს, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული საზოგადოებების მუშაობას, როგორც ისეთი ორგანიზაციების, რომლებიც აერთიანებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ მშრომელთა ფართო მასებს; ეს ორგანიზაციები ხელს უწყობენ მშრომელთა მასის აღზრდას და გამოყავთ უფრო აქტიური ელემენტები საზოგადოებრივ საქმეებში ჩასაბმელად.

სამწუხაროდ პრაქტიკული მომუშავეებისაგან ცუდათ არის შეთვისებული ამ ორგანიზაციების უმთავრესი მიზნები და ამოცანები. თითქმის ყოველდღიურად არის შესამჩნევი საზოგადოებებში წარმოებულ მუშაობაში ფორმალური და ბიუროკრატიული მიდგომა.

ადგილობრივ ორგანიზაციების უმრავლესობა თავის ამოცანად სთვლიან რაც შეიძლება მეტი ახალი წევრები მიიღონ და გადაახდევინონ საწევრო გადასახადები. რაიმე აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობა აღნიშნულ ორგანიზაციებში, პრაქტიკული და საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმეზე დამყარებული მუშაობა თითქმის არსად არ სწარმოებს.

საზოგადოების წევრების რაიმე საზოგადოებრივ საქმეში მიზიდვის და მათში რაიმე თაოსნობის და თვითმოქმედების გამომუშავების მაგიერ, მათში დაქირავებული აპარატის შემწეობით სწარმოებს მუშაობა.

ეს კი იწვევს აუარება ხარჯების გაღებას.

ცხადია ასეთი მდგომარეობიდან მიიღება ისეთი შთაბეჭდილება თითქოს აღნიშნული ორგანიზაციები გარდა იმისა, რომ გარშემო იკრებს ახალ ახალ წევრებს, ახდევინებს მათ საწევრო გადასახადებს და სხვა მეტს არაფერს აკეთებს, სხვა არაფერი შედის მის მოვალეობაში.

ის ამხანაგები, რომლებიც იმ განზრახვით, ეწერებიან საზოგადოებებში, რომ ჩაებენ რაიმე საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში, როდესაც ვერ იხილავენ ასეთს, ისევ გარბიან საზოგადოებებიდან.

ამასთანავე ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აღნიშნულ ორგანიზაციების მუშაობას, პარტორგანიზაციებიდან. პარტიას უნდა შეეძლოს გამოიყენოს ორგანიზაცია, როგორც მშრომელთა მასიური ორგანიზაცია, რომელიც თავისი სურვილით მიდის დაეხმაროს მას ქვეყნის სამეურნეო და კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

ამ ორგანიზაციებზე დაყრდნობათ და მათი მუშაობის ღირსების ამაღლებაზე ყურადღების მიქცევით, პარტორგანიზაციებმა უნდა გააფართოვონ თავისი საქმიანობა მასების აღზრდის საქმეში, მიიზიდონ ისინი აქტიურ საზოგადოებრივ ხასიათის მუშაობაში.

ამნაირად კი არ უნდა შევავიწროვოთ ხსენებულ ორგანიზაციების მუშაობა, არამედ პირიქით გაუწიოთ მათ შესაფერი ხელმძღვანელობა და მივმართოთ ისე, რომ დიდი სარგებლობის მოტანა შესძლონ საერთო სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

აი პარტორგანიზაციების მოვალეობა—თავისუფალ თვითმოქმედ ორგანიზაციებთან დამოკიდებულებაში.

კ. მ.


## ᲠᲐ ᲦᲘᲠᲡ 1-ᲚᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 35 კაპ.
3 თვით — 90 კ.
6 თვით — 1 მ. 70 კ.
12 თვით — 3 მ 20 კ.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 30 კაპ.
3 თვით — 80 კ.
6 თვით — 1 მ. 50 კაპ.
12 თვით — 3 მ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქუცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.